

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში
პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

მუხლი 1. რეგულირების სფერო

წინამდებარე წესი განსაზღვრავს ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში (შემდგომში - კოლეჯი) პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33¹ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად.

მუხლი 2. ზოგადი დებულებები

1. კოლეჯში არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო - A, B და C. დასაშვებია გარემოს სხვადასხვა მოდელის ერთ სივრცეში განთავსებაც, მაგალითად, შესაძლებელია ერთ სივრცეში არსებობდეს ერთდროულად A და C; B და C დან A, B და C გარემო, ხოლო რეგიონალურ ჰიბრიდულ ცენტრებში მხოლოდ A და B. დასაშვებია გარემოს სხვადასხვა მოდელის ერთ სივრცეში განთავსებაც, მაგალითად, შესაძლებელია ერთ სივრცეში არსებობდეს ერთდროულად A და B.
2. A ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადიენობების და ჯგუფური მუშაობისთვის, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ უზრუნველყოფას. ძირითადად, აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, საჭიროების შემთხვევაში, დემონსტრირების საშუალებით (მაგ. პროექტორი). შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება სწავლის შერჩეული მეთოდის გამოსაყენებლად.
3. B ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი მონაცემებისა და რაოდენობის კომპიუტერით (1 პროფესიულ სტუდენტზე 1 კომპიუტერი), მასწავლებლის მაგიდითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, ქსელური პრინტერითა და დემონსტრირების საშუალებით (მაგ. პროექტორი). B გარემოში შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება.
4. C ტიპის სასწავლო გარემო - სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობის შიგნით. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აღჭურვილობის ნორმატივები დადგენილია ინდივიდუალურად მოდულების/სასწავლო კურსების შესაბამისად.
5. კოლეჯის რეგიონალურ ჰიბრიდულ სასწავლო ცენტრებში ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების თეორიული ნაწილი დისტანციური/პირისპირ სწავლების ფორმით. დისტანციური სწავლება ხორციელდება სპეციალური კომპიუტერული აღჭურვილობების მეშვეობით თბილისიდან ჩართვით, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი სასწავლო პროცესს უნდა დაესწროს ჰიბრიდულ სასწავლო ცენტრში მოწყობილ სივრცეში.

მუხლი 3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი

1. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- 1.1. A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- 1.2. B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- 1.3. C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი, ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი (დუალური სწავლების შემთხვევაში);
- 1.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
- 1.5. საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;
- 1.6. მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა.

2. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის/სასწავლო კურსების განხორციელების მიზნებისთვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისთვის გათვალისწინებული ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალი, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროფესიული სტუდენტისთვის კოლეჯში ან პრაქტიკის/სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ობიექტზე. პრაქტიკის/სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ობიექტზე ხელმისაწვდომი ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალი დანართის სახით უნდა ახლდეს შესაბამის ხელშეკრულებას/მემორანდუმს. კოლეჯის მიერ განსაზღვრული ტექნიკური აღჭურვილობა შესაძლებელია განსხვავდებოდეს შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის სარეკომენდაციო მინიმალური აღჭურვილობისგან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე, რომ სწავლის შედეგების მიღწევა გარანტირებულია ალტერნატიული საშუალებების გამოყენებით.

4. საწარმოო პრაქტიკის მოდულები ითვალისწინებენ სტუდენტის დატვირთვას პრაქტიკის ობიექტზე, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტებს შორის გაფორმებული შესაბამისი მემორანდუმების/ხელშეკრულებების საფუძველზე, აგრეთვე, დუალური მიდგომით განსახორციელებელი პროგრამის შემთხვევაში წარმოებაში მისაღწევი სწავლის შედეგების მიზნით.

5. დაწესებულებას ერთი მოდულის განსახორციელებლად ჰყავს მინიმუმ ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი.

6. გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის შესახებ ამ მუხლით დადგენილი მეთოდოლოგიით განსაზღვრული რიცხვის ფარგლებში იღებს დაწესებულება და ასახავს შესაბამის განცხადებაში.

7. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი კრიტერიუმები:

7.1. პროფესიულ სტუდენტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ პირთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხდება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემების შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი და შესაბამისი წლის დამამთავრებელი, ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი წლისთვის გამოცხადებული მისაღები ადგილების რაოდენობის შესაბამისად;

7.2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.

8. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო A გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 10 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ A გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს.

9. ზოგიერთი მოდულის განხორციელებისთვის, როგორცაა „ინფორმაციული წიგნიერება“, საჭირო ერთი სასწავლო B გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 10 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ B გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეული საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს.

10. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო C გარემოს შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 10 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ C გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეული საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს.

11. შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა (დადასტურებული დარგობრივი კომპეტენციის გათვალისწინებით) განახორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული შრომის კოდექსით განსაზღვრული ჩასატარებელი კვირეული საათების (კვირაში მაქსიმუმ 40 საათიანი დატვირთვა) გათვალისწინებით შედგენილი სასწავლო განრიგის მიხედვით.

12. მოდულის განმახორციელებისათვის საჭირო საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი საკმარისი უნდა იყოს ობიექტზე განაწილებული პროფესიული სტუდენტებისათვის.

13. ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად.

14. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დგინდება ერთიანად, კოლეჯის რესურსების შესაბამისად;

15. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განაწილება კოლეჯსა და რეგიონალურ ჰიბრიდულ სასწავლო ცენტრებზე.

მუხლი 4. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობა

1. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობა გაიანგარიშება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დადგენილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების ჯამით, მათ შორის რეგიონალური ჰიბრიდული ცენტრების რესურსების გათვალისწინებით

2. ამ წესით დადგენილი მეთოლოგიით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი და შესაბამისი განაცხადით მიმართავს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.